საჯარო
აუდიტის
ინსტიტუტი

საჯარო აუდიტის ინსტიტუტის წლიური ანგარიში

2023

სარჩევი:

2023 წლის შეჯამება 3
პროფესიული განვითარების ხელშეწყობა 4
სერტიფიცირების პროგრამა 5
აკრედიტირებული პროგრამები 6
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თანამშრომელთა პროფესიული განვითარება 7
გამოცხადებული ტრენინგები 8
განხორციელებული პროექტები და აქტივობები 9
საერთაშორისო სასწავლო პროექტი ბაქოში 9
გახდი აუდიტორი 10
საინფორმაციო შეხვედრა შავი ზღვის უნივერსიტეტის სტუდენტებთან 10
კორპორატიული თანამშრომლობა 11
მომხმარებელთა უკუკავშირი 13

2023 წლის შეჯამება

2023 წელს საჯარო აუდიტის ინსტიტუტმა ტრენინგებისა და სერტიფიცირების მიმართულებით მნიშვნელოვანი აქტივობები განახორციელა.

42 ტრენინგი

1264 მონაწილე

2023 წელს საჯარო აუდიტის ინსტიტუტმა საერთაშორისო სასწავლო პროექტების განხორციელება დაიწყო და აზერბაიჯანის უმაღლეს აუდიტორულ ინსტიტუციასთან თანამშრომლობის ფარგლებში პირველი საერთაშორისო პროექტი განახორციელა.

ინსტიტუტი გახდა პირველი სასწავლო დაწესებულება, რომელმაც საბაზისო პროგრამების - „მოხელის მენეჯერული უნარები“ და „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ ელექტრონულ ფორმატში განხორციელების უფლება მოიპოვა. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილებით, ინსტიტუტმა ელექტრონული კურსების აკრედიტაცია 5 წლის ვადით მიიღო.

ინსტიტუტმა 2023 წელს ხუთ საერთაშორისო საკონსულტაციო-აუდიტორულ კომპანიასთან (EY, KPMG, PwC, DELOITTE, BDO) მეორედ განახორციელა პროექტი - „გახდი აუდიტორი“.

საჯარო აუდიტის ინსტიტუტმა 2023 წელს თანამშრომლობის კიდევ 2 ახალი მემორანდუმი გააფორმა. კერძოდ, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურთან (SARAS) და “შპს მოორ ეიბისი“ -სთან.

აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ მხარდაჭერილი თანამშრომლობის პროექტის ფარგლებში, სახელმიწფო აუდიტის სამსახურის და საჯარო აუდიტის ინსტიტუტის თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენერთა ტრენინგი (TOT).

მსმენელთა რაოდენობა



პროფესიული განვითარების ხელშეწყობა

საჯარო აუდიტის ინსტიტუტის პირველადი ფუნქციაა სახელმწიფო აუდიტის სამსახურისა და ინსტიტუტის მოსამსახურეთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, თანამშრომელთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფა, მათი ცოდნის გაღრმავებისა და პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით, შესაბამისი სასწავლო კურსების შემუშავება და ტრენინგების ჩატარება. ამ მიზნით, საჯარო აუდიტის ინსტიტუტი ახორციელებს სასწავლო პროგრამებს, მათ შორის, საჯარო ფინანსების მართვის, აუდიტის, პროფესიული და ტექნიკური უნარების, პროექტების მართვის, საოფისე პროგრამებისა და სხვა მიმართულებებით. ამასთანავე, საჯარო აუდიტის ინსტიტუტი ახორციელებს ინდივიდუალურ (საცალო) და კორპორაციულ სასწავლო პროგრამებსა და ტრენინგებს. ინსტიტუტის მიერ შემუშავებული სასწავლო კურსები ტარდება წინასწარ შედგენილი გეგმური კალენდრის მიხედვით. ინსტიტუტი ასევე თანამშრომლობს სხვადასხვა ორგანიზაციასთან, შეიმუშავებს მათი მოთხოვნების, საჭიროებებისა და ინტერესების შესაბამის სასწავლო კურსებს.

მსმენელთა რაოდენობა სასწავლო კურსების მიხედვით:

2023 წელს საჯარო აუდიტის ინსტიტუტმა შეიმუშავა 16 ახალი ტრენინგ-კურსი

სერტიფიცირების პროგრამა

საჯარო სექტორში აუდიტორული მომსახურების გაწევის უფლების მოპოვების მსურველ პირთა სერტიფიცირება საჯარო აუდიტის ინსტიტუტის ექსკლუზიური უფლებაა. დაინტერესებულ პირებს (ბაკალავრებს, მაგისტრანტებსა და მოქმედ აუდიტორებს) შესაძლებლობა აქვთ, შეისწავლონ აუდიტის საკანონმდებლო ბაზა, გაეცნონ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს, მოქმედების სფეროებსა და სტრუქტურას.

სასერტიფიკატო კურსი მოიცავს: ფინანსურ, შესაბამისობისა და ეფექტიანობის აუდიტს, საქართველოს საბიუჯეტო კანონმდებლობას, საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებას. სერტიფიცირების სასწავლო კურსის გავლის და გამოცდის ჩაბარების შემდეგ გაიცემა საჯარო სამსახურში აუდიტორული მომსახურების გაწევის უფლების დამადასტურებელი ხუთწლიანი სერტიფიკატი.

2023 წლის განმავლობაში საჯარო სექტორის აუდიტორული მომსახურების სასერტიფიკაციო პროგრამის სასწავლო კურსი განხორციელდა 2 ჯგუფთან. აღნიშნულ პროგრამაში 28 პირი მონაწილეობდა. მათ შორის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 1 თანამშრომელი.

2023 წელს საჯარო აუდიტის ინსტიტუტის ორგანიზებით საჯარო სექტორში აუდიტორული მომსახურების გაწევის უფლების მოპოვების მსურველ პირთა სასერტიფიკაციო გამოცდა ჩატარდა.

სასერტიფიკაციო გამოცდაზე გასული 44 პირისგან სერტიფიკატი მოიპოვა 25 - მა მსმენელმა



სასერტიფიკაციო გამოცდის
წარმატებით ჩაბარების მაჩვენებელი

აკრედიტირებული პროგრამები

საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამები საჯარო აუდიტის ინსტიტუტმა 2019 წელს აკრედიტაცია მოიპოვა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისგან და მიენიჭა პროფესიული განვითარების პროგრამების განხორციელების უფლება. „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილება ითვალისწინებს საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამებს, როგორიცაა: „მოხელის მენეჯერული უნარები" და „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი".

2023 წელს აკრედიტირებული პროგრამების კურსი განხორციელდა 15 ჯგუფისათვის, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 233-მა საჯარო მოხელემ.

მუნიციპალიტეტების მონაწილეობა აკრედიტირებულ პროგრამებში:



,,პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი" - განხორციელდა 12 ჯგუფთან. პროგრამის ფარგლებში გადამზადდა 184 საჯარო მოხელე, მათ შორის სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 3 თანამშრომელი.

,,მოხელის მენეჯერული უნარები" - განხორციელდა 3 ჯგუფთან, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა 49 საჯარო მოხელე, მათ შორის სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 1 თანამშრომელი

აკრედიტირებული პროგრამების გამოცდების წარმატებით ჩაბარების მაჩვენებელი:



სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თანამშრომელთა პროფესიული განვითარება

საჯარო აუდიტის ინსტიტუტის ორგანიზებულ ტრენინგ კურსებში წარმოდგენილი იყო სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 107 თანამშრომელი.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საჭიროებების და მოთხოვნის გათვალისწინებით განხორციელდა შემდეგი სასწავლო პროგრამები:

#	ტრენინგი/მოდული	მონაწილეთა რაოდენობა
1	ინვენტარიზაციის პროცესის მართვა საბიუჯეტო ორგანიზაციაში	5
2	პროგრამული ბიუჯეტირება	2
3	Agile პროექტების მართვა	6
4	რისკების მართვა სახელმწიფო შესყიდვებში	4
5	საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადება საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) მოთხოვნების შესაბამისად	10
6	სამუშაოს შესრულების მართვა და მოხელის შეფასება საჯარო სამსახურში	1
7	სტრატეგიული დაგეგმვა სახელმწიფო უწყებებისთვის	1
8	ფინანსური თაღლითობა და კორუფცია	6
9	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები და მათთან კომუნიკაციის ეტიკეტი	3
10	Microsoft Excel (Advance)	12
11	ვიკიპედიის მართვა	8
12	ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტიანობის შეფასება	1
13	სამხედრო აღჭურვილობა და შეიარაღება	27
14	მონაცემთა ვიზუალიზაცია	3
15	საგადასახადო კანონმდებლობის სიახლეები	5
16	სახაზინო პროგრამის სიახლეები	4
17	სასერტიფიკატო პროგრამის მოდული	4

გამოცხადებული ტრენინგები

საჯარო აუდიტის ინსტიტუტი წლის დასაწყისში შეიმუშავებს ტრენინგების გეგმას, რომელიც სხვადასხვა თემატიკის ტრენინგებს მოიცავს. 2023 წელს საჯარო აუდიტის ინსტიტუტმა 16 ტრენინგი განახორციელა 27 ჯგუფთან, რომლის ფარგლებშიც ჯამში 403 მსმენელი გადამზადდა.

#	ტრენინგი/მოდული	ჯგუფის რაოდენობა	მონაწილეთა რაოდენობა
1	რისკების მართვა სახელმწიფო შესყიდვებში	4	66
2	ინვენტარიცაზიის პროცესის მართვა საბიუჯეტო ორგანიზაციაში	4	72
3	საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადება საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) მოთხოვნების შესაბამისად	1	21
4	რისკზე ორიენტირებული შიდა აუდიტი	2	35
5	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები და მათთან კომუნიკაციის ეტიკეტი	1	18
6	სტრატეგიული დაგეგმვა სახელმწიფო უწყებებისთვის	1	14
7	საგადასახადო და აუდიტორიული პროცესების მართვა	1	10
8	შრომის სამართალი	1	14
9	სამუშაოს შესრულების მართვა და მოხელის შეფასება საჯარო სამსახურში	3	42
10	ფინანსური თაღლითობა და კორუფცია - პრევენცია, გამოვლენა და კონტროლი	2	28
11	ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტიანობის შეფასება	1	11
12	მონაცემთა ვიზუალიზაცია	1	9
13	პროგრამული ბიუჯეტირება	2	24
14	Agile პროექტების მართვა	1	18
15	საგადასახადო კანონმდებლობის სიახლეები	1	11
16	სახაზინო პროგრამების სიახლეები	1	10

განხორციელებული პროექტები და აქტივობები

საერთაშორისო სასწავლო პროექტი ბაქოში

2022 წელს საჯარო აუდიტის ინსტიტუტმა პირველი საერთაშორისო მემორანდუმი გააფორმა აზერბაიჯანის რესპუბლიკის საანგარიშო პალატასა და აზერბაიჯანის სახელმწიფო ეკონომიკურ უნივერსიტეტთან (UNEC).

2023 წელს კი აზერბაიჯანის უმაღლეს აუდიტორულ ინსტიტუციასთან თანამშრომლობის ფარგლებში პირველი საერთაშორისო პროექტი განახორციელა, რომლის ფარგლებშიც ორი ტრენინგკურსი ჩატარდა.

ტრენინგკურსს „აუდიტის სტანდარტები და პრაქტიკები“ აზერბაიჯანის სახელმწიფო ეკონომიკური უნივერსიტეტისა და ბაქოს საინჟინრო უნივერსიტეტის 87 სტუდენტი ესწრებოდა. ტრენინგპროგრამას უძღვებოდნენ საჯარო აუდიტის ინსტიტუტის კვალიფიციური ტრენერები და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მმართველი რგოლის წარმომადგენლები.

საჯარო აუდიტის ინსტიტუტისა და აზერბაიჯანის საანგარიშო პალატის თანამშრომლობით განხორციელებული საერთაშორისო პროექტის ფარგლებში ბაქოში პირველად გაიმართა „ტრენერთა ტრენინგი“. ტრენერთა მომზადების სპეციალურ კურსს აზერბაიჯანის საანგარიშო პალატის 18 თანამშრომელი დაესწრო. ტრენინგპროგრამა საჭიროებების კვლევისა და ანალიზის საფუძველზე დაიგეგმა. პროგრამა მოიცავდა ზრდასრულთა სწავლების ძირითად პრინციპებს, ტრენინგის შინაარსის შემუშავებისა და მიწოდების ტექნიკებს, ეფექტურ კომუნიკაციას და ტრენინგის შეფასების მეთოდოლოგიებს.

გახდი აუდიტორი

2023 წელს საჯარო აუდიტის ინსტიტუტმა უმაღლეს სასწავლებლებსა და საერთაშორისო აუდიტორულ კომპანიებთან გაფორმებულ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების ფარგლებში, მეორედ განახორციელა პროექტი ,,გახდი აუდიტორი''.

პროექტში საჯარო აუდიტის ინსტიტუტის პარტნიორი 21 უმაღლესი სასწავლებლის მიერ შერჩეულმა 42-მა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა. სტუდენტებს ერთი კვირის განმავლობაში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, აუდიტორული კომპანიების - EY, KPMG, PwC, DELOITTE, BDO წარმომადგენლები ხვდებოდნენ, რომლებიც საჯარო აუდიტის ინსტიტუტის მიერ საჯარო სექტორის სერტიფიცირებული აუდიტორები არიან.

პროექტის ფარგლებში აუდიტორულმა კომპანიებმა 2 წლის მანძილზე 20 - მდე სტაჟიორი შეარჩიეს და დაასაქმეს.

საინფორმაციო შეხვედრა შავი ზღვის უნივერსიტეტის სტუდენტებთან



პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის ფარგლებში საჯარო აუდიტის ინსტიტუტმა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის (IBSU) სტუდენტებთან საინფორმაციო შეხვედრა გამართა.

პრეზენტაცია საჯარო აუდიტის ინსტიტუტის დირექტორმა გელა ნიკლაურმა წარადგინა, რომელმაც სახელმწიფო აუდიტის სამსახურისა და საჯარო აუდიტის ინსტიტუტის მისიასა და საქმიანობაზე ისაუბრა.

სტუდენტებმა ინფორმაცია მიიღეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მანდატის, საშუშაო სპეციფიკისა და მიმდინარე საქმიანობის შესახებ. ასევე, პრეზენტაციაზე ნაჩვენები იყო ის ტრენინგკურსები და აქტივობები, რასაც საჯარო აუდიტის ინსტიტუტი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თანამშრომლების უწყვეტი პროფესიული განვითარებისთვის და აუდიტის სფეროს პოპულარიზაციისთვის ახორციელებს.

კორპორატიული თანამშრომლობა

სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტი კორპორატიული დავკეთების ფარგლებში, თანამშრომლობს სხვადასხვა საჯარო და კერძო ორგანიზაციასთან და ინდივიდუალური საჭიროებების საფუძველზე შეიმუშავებს მათი მოთხოვნებისა და ინტერესების შესაბამის სასწავლო კურსებს.

2023 წელს კორპორატიული თანამშრომლობა განხორციელდა 10 ორგანიზაციასთან:

აზერბაიჯანის საანგარიშო პალატა

აზერბაიჯანის საანგარიშო პალატასთან გაფორმებული ხელშეკრულების ფანგლებში ჩატარდა ტრენერთა ტრენინგი (ToT), რომელშიც მონაწილეობა მიიღო 18 თანამშრომელმა.

აზერბაიჯანის სახელმწიფო ეკონომიკური უნივერსიტეტი

გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, ტრენინგში: ,,აუდიტის სტანდარტები და პრაქტიკები", აზერბაიჯანის სახელმწიფო ეკონომიკური უნივერსიტეტის 87 სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა.

ტრენინგებს ჯამში აზერბაიჯანის საანგარიშო პალატასა და აზერბაიჯანის სახელმწიფო ეკონომიკურ უნივერსიტეტთან 105 თანამშრომელი ესწრებოდა.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკი)

კორპორატიული თანამშრომლობის ფარგლებში სემეკის 87 თანამშრომელი შემდეგი მიმართულებებით გადამზადდა: „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის ახალი რეგულაციები, ადმინისტრაციული სამართალი, თანასწორობისა და დისკრიმინაციისაგან დაცვის მექანიზმები, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS, IAS), გენდერული თანასწორობა.

მთავრობის ადმინისტრაცია

საჯარო აუდიტის ინსტიტუტის მიერ, მთავრობის ადმინისტრაციისთვის, ორგანიზებულ ტრენინგებში: სახაზინო პროგრამების სიახლეები, ადამიანის უფლებებათა დაცვა, საგადასახადო კანონმდებლობის სიახლეები, Microsoft Excel, საოფისე პროგრამები. ტრენინგებს ჯამში მთავრობის ადმინისტრაციის, 45 თანამშრომელი ესწრებოდა.

თბილისის მერია

საჯარო აუდიტის მიერ ორგანიზებულ აკრედიტირებულ პროგრამებში: მოხელის მენეჯერული უნარები, პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი. 2023 წელს თბილისის მერიის 141 თანამშრომელი მონაწილეობდა.

რუსთავის მერია

საჯარო აუდიტი განაგრძობს რუსთავის მერიის თანამშრომლების პროფესიულ გადამზადებას. 2023 წელს გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, რუსთავის მერიის 124 თანამრომელი გადამზადდა შემდეგი მიმართულებებით: სამეწარმეო სამართალი, მშენებლობის ზედამხედველობა, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოება, სოციალური პოლიტიკის წარმოება ადგილობირივ დონეზე, ეფექტური კომუნიკაცია და სტრესის მართვა, სამოქალაქო შენობების ინფრასტრუქტურული პროექტების მართვა, სამოქალაქო მშენებლობა, ნორმები და ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელება, მიწის სამართალი, სოციალური მედია, რეპუტაციისა და კრიზისების მართვა, საკომუნიკაციო კამპანიები, პროგრამული ბიუჯეტირება, პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი, მენეჯერული უნარები, რისკზე ორიენტირებული შიდა აუდიტი.

ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია

2023 წელს საჯარო აუდიტის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში - სტრატეგიული კომუნიკაცია, მართვის თანამედროვე პრაქტიკები და ლიდერობა, პროექტების მართვა, მონაწილეობა მიიღო ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის 54 თანამშრომელმა.

სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო

საჯარო აუდიტის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ Microsoft Excel - ის ტრენინგში, სოციალური მომსახურების სააგენტოს 68 თანამშრომელმა მიიღო მონაწილეობა. ტრენინგი 6 ჯგუფთან ჩატარდა.

მთის ტრასების სააგენტო

საჯარო აუდიტის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ ტრენინგში, ლიდერობა ინვენტარიზაციის პროცესის მართვაში, მონაწილეობა მიიღო მთის ტრასების სააგენტოს 12 - მა თანამშრომელმა.

კომუნიკაციების კომისია

საჯარო აუდიტის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ MS Excel - ის ტრენინგში, კომუნიკაციების კომისიის 12 თანამშრომელი იღებდა მონაწილეობას.

მომხმარებელთა უკუკავშირი

ტრენინგი იყო,მაღალი ხარისხის, ზუსტად ჩემს საჭიროებებზე მორგებული, ინფორმატიული. ტრენერი მასალას გვიხსნიდა ადვილად გასაგები ენით, ზუსტად რეაგირებდა კითხვებზე და გვაწვდიდა ამომწურავ და სრულ ინფორმაციას.

ტრენინგზე ინფორმაცია იყო მოწოდებული ძალიან საინტერესოდ და ამომწურავად. ტრენერი მაქსიმალურად ცდილობდა, პროცესში ჩართული ყოფილიყო თითოეული მონაწილე. მას ტრენინგი მიჰყავდა არა მხოლოდ სატრენინგო მასალების შესაბამისად, არამედ გვიზიარებდა პრაქტიკულ მაგალითებსაც, რაც უფრო ამარტივებდა სატრენინგო კურსის გაგებას.

მინდა მადლობა გადაგიხადოთ პროექტისთვის, რომელიც დამეხმარა პირველი ნაბიჯები გადამედგა აუდიტის მიმართულებით.
მადლობა თქვენ იმ შესაძლებლობისთვის, რასაც "გახდი აუდიტორის" ფარგლებში აძლევთ სტუდენტებს. მოხარული ვიქნები თუ ეს პროექტი დიდხანს იარსებებს და ბევრ სტუდენტს მისცემს საშუალებას იპოვოს საკუთარი თავი ამ სფეროში

მომხმარებელთა კმაყოფილების მაჩვენებელი:

95%

გამოცხადებული ტრენინგები

94%

აკრედიტირებული პროგრამები

92%

სერტიფიცირების კურსი